თანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და
სსიპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს
შორის

ქ. ბათუმი 5 თებერვალი, 2014 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში "ხსუ") წარმოდგენილი დირექტორის ერმილე მესხიას სახით და მეორე მხრივ, სსიპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, წარმოდგენილი მისი დირექტორის გოდერძი ტოტოჩავას სახით, (შემდგომში აჭარის მუზეუმი) თანხმდებიან საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

1. მხარეთა უფლება – მოვალეობები

1. პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, აჭარის მუზეუმი, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში, უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლას.
2. მხარეები, დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა.შ.) და ექსპერტიზაში.
3. დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებს.
4. მხარეები უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

2. მემორანდუმის განხორციელების პირობები

მხარეებს შორის თანამშრომლობა განხორციელდება პარიტეტული პრინციპით: მემორანდუმი ძალაში შევა ხელმოწერისთანავე.

3. მხარეთა საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:

სსიპ ბათუმის ხელოვნების	სსიპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის
სასწავლო უნივერსიტეტი	სახელობის მუზეუმი
ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №37	ქ. ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქ. №4
რექტორი:	დირექტორი:
ერმილე მესხია	გოდერძი ტოტოჩავა
_____	_____